საზოგადოება
და ბანკები

სამართლისა და პოლიტიკის
კვლევის ინსტიტუტი
Institute for Law & Policy Research

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
ა(ა)იპ „საზოგადოება და ბანკებსა“ და
ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტს“
შორის

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „საზოგადოება და ბანკები“, წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის გიორგი კეპულაძის მიერ და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „სამართლისა და პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი“, წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის, ნიკოლოზ მეგრელიშვილის მიერ, შემდგომში წოდებულნი “მხარეებად”, ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, თანხმდებიან შემდეგზე:

1.მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთობის განმტკიცებას და თანამშრომლობას სხვადასხვა პროექტების ფარგლებში;
2.მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგ სფეროებში:

ა) ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებების პოპულარაზიაცია;
გ) ინფორმაციისა და პუბლიკაციების გაზიარება;
დ) საგანმანათლებლო, აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი ერთობლივი აქტივობების მართვა.

3. მხარეები თანხმდებიან, რომ თანამშრომლობა განხორციელდება ორივე მხარისათვის მისაღები ფორმებით.
4. შეთანხმებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკამათო საკითხი გადაწყდება მხარეებს შორის კონსულტაციისა და მოლაპარაკების გზით.
5. მემორანდუმში შესწორების შეტანა განხორციელდება მხარეებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.
6. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
7. მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მემორანდუმი მეორე მხარისათვის 6 თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მხარეთა საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერები:

მის: №3-5 ყაზბეგის ქ.
0160 თბილისი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 405024593
ელ. ფოსტა: info@sab.ge

_____
გიორგი კეპულაძე
გამგეობის თავმჯდომარე

მის: №95 მამია კომახიძის ქ.
6010, ბათუმი, საქართველო
საიდენტიფიკაციო კოდი: 445583690
ელ. ფოსტა: info@ilpr.ge

_____
ნიკოლოზ მეგრელიშვილი
გამგეობის თავმჯდომარე

თარიღი: 27.04.2021 წელი

თარიღი: 27.04.2021 წელი